

# ქართველურ ენათა ლინგვისტური ანოტაცია: I. სახელები (პრობლემები და მათი გადაჭრის გზები)

მაია ლომია, ქეთევან მარგიანი (თბილისი)

## I. შესავალი

### 1.1. ზოგადი მიმოხილვა

ტიპოლოგიური ენათმეცნიერება სიტყვა-ფორმათა სემანტიკისა და ანოტაციის მიხედვით ახდენს ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაციასა და კლასიფიკაციას. მორფოლოგიურად მდიდარი სტრუქტურის ენათა პარადიგმატული და სინტაგმატური სტრუქტურები განსაზღვრულია მორფემათა ფუნქციური თავისებურებებით. აღსანიშნავია, რომ აგლუტინაციურ ენებში გრამატიკულ მორფემებს მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობა ახასიათებთ. ქართველურ ენებში სიტყვის სტრუქტურის განსაზღვრისთვის მიზანშეწონილია აფიქსურ მორფემათა თანმიმდევრობისა და შეერთების საშუალებათა დადგენა. ქართველური ენებისთვის, ისევე, როგორც ამგვარი ბუნების სხვა ნებისმიერი ენისთვის, მორფოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა **სახელი** და **ზმნა**. მეთოდოლოგიურად სწორი და თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი კრიტერიუმია მორფოლოგიური ფაქტების სისტემატიზაცია რანგობრივი სტრუქტურის მიხედვით.

წინამდებარე სტატიაში ქართველურ ენათა ლინგვისტური ანოტაციის პრობლემები განხილულია სახელთა მორფოლოგიური მოდელების მიხედვით; კლასიფიცირებული და კვალიფიცირებულია პრობლემური საკითხები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

ტერმინი „ქართველური ენები“ აერთიანებს ქართულს, მეგრულს, ლაზურსა და სვანურს, რომელთაგან დოკუმენტირებული, 16-საუკუნოვანი ისტორიის, სწავლა-განათლებისა და წირვა-ლოცვის ენა ქართველური ტომებისთვის ყოველთვის იყო და დღესაც არის ქართული სალიტერატურო ენა; მეგრული, ლაზური და სვანური არასალიტერატურო ქართველური ენებია; შესაბამისად, როცა ქართველურ ენებზეა საუბარი, სისტემური ანალიზი ითხოვს ძველი და ახალი სალიტერატურო ქართული ენის და სხვა ქართველური ენების (მეგრული, ლაზური, სვანური) მონაცემების განხილვას. სალიტერატურო და არასალიტერატურო ქართველური ენები თავის მხრივ იყოფა დიალექტებად; დიალექტური მონაცემების გათვალისწინება ასევე აუცილებელია ლინგვისტური ანოტაციის დროს, რაც ზრდის ემპირიული მასალის მრავალფეროვნებას და პრობლემათა მასშტაბურობასაც.

### 1.1.1. ლინგვისტური ანოტაციის რაობა

ლინგვისტური ანოტაცია არის „ანოტირების სახე – ენობრივი მონაცემების ლინგვისტური ანალიზის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც ანოტაციის ერთ ან რამდენიმე დონეზე გადანაწილდება. ლინგვისტური ანოტაციის შემთხვევაში განარჩევენ დესკრიფციულ და ანალიტიკურ ანოტაციას. დესკრიფციული ანოტაცია ძირითადად ფორმალური ნიშნების მიხედვით ახდენს ენობრივი მონაცემების (ანუ სიტყვაფორმების) დახასიათებას – ბრუნვა, პირი, მწკრივი და ა.შ., ანალიტიკური ანოტაციის დროს კი ყურადღება ექცევა არაფორმალურ მახასიათებლებსაც, როგორცაა მოდალობა, ევიდენციალობა, რეფერენციულობა. ლინგვისტური ანოტაცია ელექტრონული მონაცემის ლინგვისტური მეტაინფორმაციით გამდიდრების ერთ-ერთი ფორმაა და წარმოადგენს პირველად ენობრივ მონაცემებში ბუნებრივად კოდირებული ლინგვისტური ინფორმაციის ხაზთაშორისი ვიზუალიზაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას“ (თანდაშვილი, ყამარაული 2021:157). ანოტაციის დონეებია: ფონეტიკური, ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური, სემანტიკური და სხვ. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ნაშრომი ეხება ანოტაციის მორფოლოგიურ დონეს, რომელიც ითვალისწინებს ქართველურ ენებში სიტყვა-ფორმის დახასიათებას მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით. ანოტაციის მორფოლოგიური დონე ასახავს მორფონოლოგიურ და მორფოსინტაქსურ პროცესებსაც და ითვალისწინებს სიტყვა-ფორმათა სეგმენტირებისა და მარკირების დროს.

**მორფოლოგიური პარამეტრების შესაბამისად ლინგვისტური ანოტაციის გადმოცემის ძირითადი საშუალებებია:** ტრანსლიტერაცია, სიტყვათა სეგმენტირება და მორფემათა სახელდება. აგლუტინაციური ტიპის ენებში, განსაკუთრებით სახელებში, წესით, ნაკლებად პრობლემური უნდა იყოს სიტყვათა სეგმენტაცია და მორფემათა სისტემატიზაცია; თუმცა, სეგმენტირება-მარკირების სირთულე ხშირად განპირობებულია ენობრივი განვითარების დინამიკისა და ფორმობრივ-შინაარსობრივი თვალსაზრისით ლექსემათა სისტემური ცვლილებების გამო (შდრ.: ძველი და ახალი ქართულის მონაცემები მიცემითის მარტივი და თანდებულიანი ფორმების მიხედვით; დაწვრილებით მსჯელობა იხ. ქვევით, II ნაწილში). ლინგვისტური მორფოანალიზი ხორციელდება ენის სინქრონიული მონაცემების მიხედვით, თუმცა სინქრონიულ დონეზე პრობლემათა რაოდენობას ზრდის მორფონოლოგიური ცვლილებები, რის შედეგადაც ცალკეულ შემთხვევაში წაშლილია ზღვარი სახელურ ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის, თანდებულსა და ბრუნვის ნიშანს შორის და სხვ. ამიტომ აუცილებელი მეთოდოლოგიური ასპექტებია სინქრონიისა და დიაქრონიის მიმართება, რომელიც გულისხმობს ეტიმოლოგიური (ამოსავალი) ხაზის ძიებას და სიტყვა-ფორმათა თავდაპირველი სახით წარმოჩენას.

### 1.1.2. ტერმინთა დაზუსტებისთვის

საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, სიტყვა-ფორმის დახასიათება მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით განსხვავებული ტერმინებით აღნიშნება. *მორფემებად დაყოფილ ერთეულებს მორფემული ანოტაციის დროს ენიჭებათ მორფემის შესაბამისი გლოსები; ეს პროცესი ხორციელდება სწორხაზობრივად და მორფემათა განლაგების შესაბამისი უცვლელი თანმიმდევრობით; ამიტომ ლინგვისტური ანოტაციის (LGR) სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია:*

- *ინტერლინეალური მორფემული გლოსირება (Interlinear morphemic glossing: IMG).*
- *ინტერლინეალური მორფემული თარგმანი (Interlinear morphemic translate: IMT) (LGR 1982; Lehmann, Chr. 1982; 2004).*
- *ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (ლომია, გერსამია 2012).<sup>1</sup>*

სახელდებაში ასახული სხვაობა ვერ ცვლის ლექსიკური ერთეულების მორფოლოგიურად დამუშავების (სეგმენტაცია-მარკირების) პრინციპებს, თუმცა ერთგვარად აზუსტებს მათი მოხმარების არეალს. ანოტირება (annotation) უფრო ფართოდ გავრცელებული ტერმინია, რადგან იგი კორპუსის შემადგენელი კომპონენტია და აქტიურად გამოიყენება კორპუსლინგვისტიკაში. ანოტირებული მასალის მიხედვით იქმნება საძიებო სისტემა ენის კორპუსისთვის; კერძოდ, მორფოლოგიური ანოტირების მიხედვით იძებნება კონკრეტული სიტყვა-ფორმის ფუძე (ლემა), ბრუნვის, რიცხვის მარკერები და ა. შ.

სამეცნიერო პროდუქტის ფუნქციური დანიშნულება ზრდის მის მიმართ მოთხოვნას, ინტერესს და დღის წესრიგში აყენებს პრობლემათა მოგვარების აუცილებლობას, გადაჭრის გზების ძიებას.

## 1.2. ქართველურ ენათა კვლევის პერსპექტივები

ქართველურ ენათა კვლევის პერსპექტივები პირველ რიგში ემყარება ამ ენათა მეცნიერული შესწავლის ისტორიას: ემპირიული მასალის მოპოვებისა და დამუშავების შედეგებს, ფუნდამენტურ-თეორიულ გამოკვლევებს. თანამედროვე ეპოქაში ბუნებრივ ენათა დასამუშავებლად აქტიურად გამოიყენება კომპიუტერული ტექნოლოგიები, რაც იძლევა ენობრივი მონაცემების საერთაშორისო სტანდარტით დამუშავების შესაძლებლობას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქართველურ ენათა მეცნიერული შესწავლა ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რაც განსაზღვრავს კვლევის პერსპექტივებსაც.

<sup>1</sup> აღნიშნული ნაშრომის რეცენზიაში პროფ. მარიკა ჯიქიამ მიუთითა, „ხაზთაშორის“ ლექსემას უმჯობესია ჩაენაცვლოს „ხაზთაშორისი“ (ჯიქია 2014: 315-316), რაც, ვფიქრობთ, გასაზიარებელია.

ქართული გრამატიკული აზრისა და აზროვნების ისტორია, როგორც სადღესასწაულო მოთხოვნების საფუძველი და დიგიტალური ქართველოლოგიის განვითარების აუცილებელი პირობა, განხილულია ნაშრომებში: თანდაშვილი 2019-2020, თვალთვალი 2019-2020, ლომია 2019-2020.

## II. მორფოლოგიური მარკერების სისტემატიზაცია სახელებში: პრობლემები და მოგვარების გზების ძიება

### 2. ბ რ უ ნ ე ბ ა

სახელები ქართველურ ენებში გრამატიკულ კატეგორიათა სიმრავლით არ გამოირჩევა, იცვლება მხოლოდ ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით; თუმცა ამ უძველეს კატეგორიათა ჩამოყალიბება-განვითარების დინამიკა იწვევს ფორმაცვლილებას, ნიუანსურად ზუსტდება შინაარსი, რაც ანოტირებისას, ცხადია, ქმნის სირთულეებს; ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ყველა ქართველურ ენას აერთიანებს, არის:

ა) თანდებულიან სახელთა სეგმენტაციისა და სეგმენტირებულ ელემენტთა კვალიფიკაციის საკითხი და ბ) სახელის ფუძის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

#### 2. 1. თანდებულიან სახელთა სეგმენტაციისა და კვალიფიკაციის საკითხი

თანდებულიანი სახელები ორგვარად არის წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში: ა. თანდებულიანი ბრუნვები და ბ. ლოკალური ბრუნვები. სახელი თანდებულთან ერთად შეიძლება სხვადასხვა სახით იყოს მოცემული; კერძოდ,

ქ ა რ თ უ ლ შ ი

➤ ბრუნვის ნიშანი სრულად შენარჩუნებულია, თანდებული უცვლელია:

- (1) სახლ-ის-თვის მინდა ეს ყველაფერი.
- (2) სახლ-ის-კენ მიდიოდა გახარებული.
- (3) ხ-ის-გან გააკეთა ჯვარი.
- (4) მოსვლ-ის-თანავე დაიწყო საქმე.

➤ ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ შენარჩუნებულია, თანდებული უცვლელია:

- (1) სახლ-ა-მდე (← სახლ-ა[დ]-მდე)
- (2) სახლ-ა-მდის (← სახლ-ა[დ]-მდის)

➤ ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, თანდებული უცვლელია:

- (1) სახლ-ში გვიან დაბრუნდა.
- (2) სახურავ-ზე ჩუმად ავიდა.

➤ ბრუნვის ნიშანი ნაწილობრივ შენარჩუნებულია, თანდებული ტრანსფორმირებულია:

(1) სახლიდან (←სახლ-იდ-გან ← სახლ-ით-გან)

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, თანდებულის ფორმებში ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის დაცალკეება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგან სინქრონიულ დონეზე ბრუნვის ნიშანი ან დაკარგულია (მთლიანად თუ ნაწილობრივ), ან ფონეტიკური პროცესის შედეგად ფორმა სრულად ტრანსფორმირებულია; **ფორმობრივი** მონაცემების სრულყოფილად აღდგენა შესაძლებელია ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით, მაგრამ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტის გზა, რადგან ანოტირება უნდა განხორციელდეს სინქრონიული მონაცემების მიხედვით; ამასთან, პრობლემის მოგვარებისას გასათვალისწინებელია სხვა მხარეც – თანდებულის ბრუნვათა **სემანტიკური** ნიუანსები ოდენ ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილ ფორმებთან შედარებით; მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ **ახალი ქართულის (1) სახლს მიადგა და (2) სახლში იმყოფება**. პირველ წინადადებაში *სახლს* *ოია*, ხოლო მეორე წინადადებაში *სახლში* ადგილს გამოხატავს და **სადაობითი ბრუნვის** ფორმაა. ამ მნიშვნელობას სწორედ -ში თანდებული ანიჭებს სახელს, ამიტომ *სახლში* ფორმის თანდებულის ბრუნვად დასახელება ან ბრუნვის ნიშნის აღდგენა (სახლ-ს-ა შინა → \*სახლ-ს-ში → სახლ-ში) და თანდებულისგან გამოყოფა მხოლოდ **ფორმალურ** მხარეს წარმოაჩენს სრულყოფილად და **სემანტიკის** გაუთვალისწინებლად ვერ მოგვცემს საბოლოოდ სწორ ინფორმაციას.

ასეთივე ვითარებაა **ძველ ქართულშიც**, როცა მიცემითის **ომოფორმები** ანოტირებისას ისევე უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან **ფუნქციის** მიხედვით და შესაბამისი სახელდებით, როგორც თანამედროვე ქართულში ზემოაღნიშნული უთანდებულო და თანდებულის სახელები; შდრ.: (3)*ქალაქს(ო)* მიადგა და (4)*ქალაქს(სადაობითი)* წარვიდა.

ამგვარი წინააღმდეგობების დაბალანსებას და სახელთა ფორმალურ-ფუნქციური მონაცემების სრულყოფილად წარმოჩენას ისახავდა მიზნად აკაკი შანიძე, როცა ლოკალურ ბრუნვათა წარმოშობის მიზეზებზე მსჯელობდა და ბრუნების პარადიგმაში მიზანშეწონილად მიაჩნდა ლოკალური (თანდებულისანი) ბრუნვების შეტანა: „ზოგიერთი თანდებული მჭიდროდ შეეზარდა ბრუნვის ფორმას. თანაც ფონეტიკური წესების გავლენით ისეთი ცვლილება მოხდა, რომ წაიშალა მზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის. ამის წყალობით შეიქნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ბრუნვის ნიშნად ყოფილიყო გაგებული. ასეთი ამბავი მოხდა სამ ბრუნვაში: მოქმედებითსა, ვითარებითსა და მიცემითში, რის შედეგადაც მივიღეთ სამი ახალი ბრუნვა: გამოსვლითი, მიწევნითი და სადაობითი, რომელთაც **ლოკალურ** (ადგილობით) ბრუნვათა **ფუნქციები აქვთ მოპოვებული**“ (შანიძე 1973:73-74). აღსანიშნავია, რომ ა. შანიძე მთის კილოებში გამოყოფდა აგრეთვე ორმაგ ბრუნვათა რთულ ფორმებს, როგორებიცაა: სადაობით-გამოსვლითი (ბანზეით = ბანზე და იქიდან), სადაობით-მიწევნითი („ჭალაშიამდი“). ქართული ენის მონაცემების მიხედვით ლოკალურ

ბრუნვათა სახელდება და ფორმოზრივ-შინაარსოზრივი დახასიათება დაწვრილებით იხ. შანიძე 1973: 73-77).

მოგვიანებით ქეთევან დათუკიშვილი შეეხო ქართულში თანდებულიან ფორმათა ანოტირების პრობლემურ საკითხებს და აღნიშნა: „*მორფოლოგიური ანოტირებისას ამგვარი [თანდებულიანი] ფორმების კვალიფიკაციას თანდებულიან ბრუნვებად გარკვეული წინააღმდეგობები ახლავს. უფრო თანმიმდევრულად არის შესაძლებელი ფორმალური მექანიზმის აღწერა, თუ მათ ლოკალური ბრუნვების რანგში განვიხილავთ*“ (დათუკიშვილი 2008).

მ ე გ რ უ ლ ს ა და ლ ა ზ უ რ შ ი ც, ძველი ქართულის მსგავსად, სუბიექტს / პირმიმართ დამატებებს და ადგილ-მდებარეობას (ლოკაციას) უთანდებულო მიცემითი აღნიშნავს:

მ ე გ რ უ ლ ი

(1) *ქუდეს ქიმკვოდირთი „სახლს მივადექი“: ქუდეს (O); შდრ.: (2) ქუდეს ვორექ „სახლში ვარ“: ქუდეს (სადაობითი).*

რაც შეეხება თანდებულიან სახელებს, ცნობილია, რომ მეგრული და ლაზური თანდებულების სიმცირით გამოირჩევა, თუმცა ამ თვალსაზრისით ყველაზე პროდუქტიულია ნათესაობითი ბრუნვა. აღნიშნულ ბრუნვაში ზოგიერთი თანდებული საზიაროც კი აქვთ ამ ენებს; ასეთია მაგალითად, ლაზურში -კალა „თან“, რომლის წინ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი იკარგება: ბაბა-კალა (< ბაბა-შ-კალა) „მამასთან“. იგივე თანდებული მეგრულში რამდენიმე სხვადასხვა ფორმით გვხვდება: **წკუმა || წკმა, წკალა**. თავკიდურა **წ** მიღებულია ნათესაობითის **შ**-ს გავლენით, კერძოდ, **შკ > წკ** ბუნებრივი კომპლექსების შექმნის ტენდენციით (თოფურია 1937:119-121):

*\*ბაღანა-შ-კუმა > ბაღანა-წკუმა „ბავშვთან“* (დანელია 2006:111-113).

ბუნებრივი ბგერათკომპლექსების შექმნის ტენდენციას ამჟღავნებს მეგრულში -**ჯგურა** თანდებულიც, რომელიც გამოხატავს მსგავსებას და სემანტიკურად ეფარდება ქართულის -**ვით**-ს. აღნიშნული თანდებულის ამოსავალი ფორმაა -**გუარ** || -**გვარ**; კერძოდ, ფორმათა ტრანსფორმაციის გზა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის თავკიდურა თანხმონის მონაწილეობით ასეთია: \***თე-შ-გურა** → **თე-ჯგურა (შგ > ჯგ)** (კარტოზია 1961:251).

ს ვ ა ნ უ რ შ ი ც მსგავსი ვითარებაა: ერთი მხრივ, ჩანს ამ ენისთვის დამახასიათებელი არქაულობა; კერძოდ, ერთი და იმავე მნიშვნელობისთვის შედარებით გვიან ჩამოყალიბებული თანდებულიანი ფორმების პარალელურად გვხვდება უთანდებულო ფორმებიც, ძველი ქართული „ქალაქს წავიდა“, „სოფლად იმყოფება“ ტიპისა; მეორე მხრივ, დასტურდება უთანდებულო ორმაგი ბრუნების ნიმუშებიც (შდრ.: ასევე ძველი ქართული, მთის დიალექტები).

განვიხილოთ თანდებულიან ფორმებში ბრუნვის ნიშნის რეალიზაციის შემთხვევები:

➤ ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია:

(1) ქორ-ჰმ-იაქ-დ „სახლ-ის-თვის-ად“//ქორ-ჰმ-დ „სახლ-ის-ად“ მაკუ ალი მანგ „სახლისთვის მინდა ეს ყველაფერი“.

➤ ბრუნვის ნიშანი დაკარგულია:

(2) ქორ-თე გვიანდ ანტაზ

„სახლში (ზედმიწ. „სახლ-კენ“) გვიან დაბრუნდა“.

(3) ქორ-ისგა პრი

„სახლშია, სახლში იმყოფება“.

სვანურში სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებული თავისებური ვითარებაა იმ თვალსაზრისით, რომ უთანდებულო ფორმათა პარალელურად, დინამიკა-ლოკალიზაციის (მიწვევითობის) ერთდროულად საჩვენებლად სახელები დაირთავენ როგორც ძირითად თანდებულს, ასევე ე. წ. „წინდებულ-თანდებულს“ (შდრ.: მთის დიალექტებში გამოყოფილი ორმაგი ლოკალური ბრუნვები):

(4) ქორ-დ „სახლ-ად“//ქორ-თე-მსგა „სახლ-კენ-ში“ გვიანდ ანჰე „სახლში გვიან მოაღწია“.

ყურადღებას იქცევს სგა „შე-/-ში“ თანდებულ-წინდებულის წინ რეგულარულად გაჩენილი ი ხმოვანი, რომელიც ვ. თოფურიას აზრით, შესაძლოა, -ლისგა-ში მოცემული ლი-ს გამარტივების შედეგად იყოს მიღებული (თოფურია 2002:204): ქორ-ლი-სგა → ქორ-ი-სგა „სახლში შიგნით“; თუმცა -ლისგა-ს თავკიდური ლ- ასევე შესაძლებელია ფონეტიკურად იყოს განვითარებული.

ზოგადად, არასალიტერატურო ენებისთვის, განსაკუთრებით კი სვანურისთვის დამახასიათებელია ნიუანსური ტევადობის გაზრდა მორფემათა, ამ შემთხვევაში სხვადასხვა თანდებულთა და ბრუნვის ნიშანთა, საშუალებით, რომლებიც ერთ ლექსიკურ ერთეულში ერთდროულადაა მოცემული. ზოგჯერ ფუძესთან მოსალოდნელი ბრუნვის ნიშანი (მაგალითად, მიცემითი ბრუნვის -ს) დაკარგულია, მაგრამ ორმაგი თანდებული და შემდგომი -თვის მნიშვნელობის ორი სხვადასხვა ბრუნვის ნიშანია წარმოდგენილი; სახელური ფორმა გართულებულია იმითაც, რომ ორმაგი ბრუნვის ნიშანი გახლეჩილია მესამე კომპონენტით – თანდებულით:

(5) ქორ-თე-მსგ-ჰმ-აქ-დ – სახლისთვის (სახლ-ში-შიგნით-შესატანად, „სახლ-კენ-ში-ის-თვის-ად“).

(6) ქორ-თე-შ-აქ-დ (<\*ქორ-თე-იშ-აქ-დ) – სახლისთვის (სახლში წასაღებად, „სახლ-კენ-ის-თვის-ად“).

(7) ქორ-ჰმ-დ – სახლისთვის (ზოგადად სახლის საჭიროებისთვის...)

**შენიშვნა 1:** ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში შეინიშნება ტენდენცია აუსლაუტში -დ ბრუნვის ნიშნის დაკარგვისა.

ქართულ თანდებულიან ერთსა და იმავე ფორმას სვანურში რამდენიმე ფორმა შეესაბამება, თუმცა სვანური ფორმები განსხვავებული სემანტიკური ტევადობის

არიან, რადგან ფუძეზე დართული თითოეული ელემენტი გარკვეულ ნიუანსს განაპირობებს; შესაბამისად, ეს ფორმები ერთმანეთს არ ჩაენაცვლებიან:

- (1) *სოფელ-ს ლახაგან – სოფელს მიადგა.*
- (2) *სოფელ-ს – სოფელს აწი – სოფელშია, „სოფელს იმყოფება“.*
- (3) *სოფელ-ისგა – სოფელში (შიგნით): სოფელის გამაგ ხეხელი – სოფელში ყველაფერი ხდება.*
- (4) *სოფელ-თე-ისგა – სოფელში / სოფლამდე:*
  - ა. *სოფელთეისგა ამბაჟ ანკაჟ – სოფელში ამბავი მოვიდა.*
  - ბ. *სოფელთეისგა გვიანდ ადჰე – სოფლამდე გვიან მიაღწია.*

## 2. 2. სახელის ფუძის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

სახელის ფუძის განსაზღვრასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს რამდენიმე შემთხვევა ქმნის; კერძოდ, ესენია: ა). ე.წ. ნანათესაობითარი ბრუნვები, ბ). თანხმოვანთგამყარი ი ხმოვნის გაჩენა, გ). სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ტრანსფორმაცია, დ). მიცემით ბრუნვაში -ც ალომორფის საკითხი. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

### 2.2.1. ე.წ. ნანათესაობითარი (მეორეული) ბრუნვები

მეგრულ და ლაზურ ბრუნვათა სისტემაში გამოიყოფა ქართულისაგან განსხვავებული რამდენიმე ბრუნვა; ესენია: ა. *მიმართულებითი, დაშორებითი, დანიშნულებითი* (მეგრულში); ბ. *მიმართულებითი, დაშორებითი* (ლაზურში). დასახელებული ბრუნვებისთვის საყრდენია ნათესაობითი; ტრადიციულ გრამატიკებში მეორეულ ბრუნვათა ფორმები ორგვარად იყოფა იმის გათვალისწინებით, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (-იშ /-ში) ახალი ბრუნვის ნიშნის ნაწილად მოიაზრება თუ ფუძის შემადგენლობაში განიხილება:

(1) *ორტვინ-იშა* „ბოსტნისკენ“, (2) *ეჟდე-შა* „სახლისკენ“ (კარტოზია და სხვები 2010:117).

შდრ.: სხვა თვალსაზრისის მიხედვით აგებულ მოდელს:

(2) *კოჩიშ-ა* „კაცისკენ“, *კატუშ-ა* „კატისკენ“ (ქირია და სხვები 2015:56).

აზრთა სხვადასხვაობა განპირობებულია იმით, რა გზა ესახებათ მკვლევრებს აღნიშნულ ფორმათა მისაღებად:

1. *ძველი ქართული: კაც-ისა-და* (ნანათესაობითარი ვითარებითი):

1ა. →{კაც-ისა (მიმართულებითი)

1ბ. →{კაც-ისად (დანიშნულებითი)

(გიგინეიშვილი, სარჯველაძე 1978:134)



## 2. შდრ.: მეგრულის მონაცემები:

2ა. →[ა. კოჩ-იშა (მიმართულებითი)

2ბ. →[ბ. კოჩ-იშოთ(დანომხულებითი)

(ლომთაძე 1987:86)

თუკი ფუძედ იქნება აღებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (*ორტვინიშ-„ბოსტნის-“*; *კოჩიშ- „კაცის-“*; *კატუშ- „კატის-“* და მისთ. (იხ. ქირია და სხვები 2015: 55), ხოლო მეორეული ბრუნვის ნიშნებად განიხილება -ა, -ე(ნ), -ოთ დაბოლოებები (ჩიქობავა 1936:54; თოფურია 1937:312), მაშინ ბრუნების პარადიგმაში შემოვა სახელთა ორფუძიანობის საკითხი და იგი უნდა აიხსნას. მოვლენათა ამგვარ განვითარებას პირველად ვ. თოფურიამ მიაქცია ყურადღება და აღნიშნა: „*ბრუნებისას ორი ფუძის გამოყენების საკითხი ზანურის მიმართაც დგება*“ (თოფურია 1937:301; მასზე დაყრდნობით იხ. აგრეთვე ჯორბენაძე 1995:125-126), თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, დღემდე არ არის ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში, რამდენად თანმიმდევრული შეიძლება იყოს მეგრულსა და ლაზურში სახელთა ორფუძიანობაზე საუბარი.

### 2.2.2. თანხმოვანთგამყარი ი ხმოვნის გაჩენა

მეგრულსა და ლაზურში თანხმოვანთგამყარი ი ხმოვანი სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის გაჩნდა არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების დასაძლევად. ამ თვალსაზრით მეგრულში ორი ჯგუფი გამოიყოფა: ერთი ჯგუფის სახელებში ყოველთვის ჩნდება ი ხმოვანი აღნიშნულ პოზიციაში და ასეთები უმრავლესობას წარმოადგენს; მეორე ჯგუფში გაერთიანებულია სახელთა პარალელური ფორმები, რომლებიც არაკანონიკურობის დასაძლევად ან ი ხმოვანს იყენებენ, ან სხვა საშუალებებს მიმართავენ; პარალელურ ფორმათა დიფერენციაცია შესაძლებელია არეალების მიხედვით (დაწვრილებით იხ. კარტოზია და სხვები 2010:174-121).

აღნიშნული ენობრივი ფაქტი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეგრულში სახელის ფუძის გამოყოფასთან დაკავშირებით; რამდენადაც ი ხმოვანი ფონეტიკური ჩანართია, ხშირად მას ფუძეს აკუთვნებენ; შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ პარადიგმებში სახელთა მორფოლოგიური სეგმენტაცია (ჩიქობავა 1936:44; ლომთაძე 1987:127; ონიანი 1989:83 და სხვ.) განსხვავებულია და, ამასთან ერთად, წინააღმდეგობრივად, რადგან ერთი და იგივე სახელი ორფუძიანი გამოდის არამხოლოდ არეალების მიხედვით, არამედ ერთი პარადიგმის ფარგლებშიც.

წინააღმდეგობის დასაძლევად საჭიროა თავად ენაში არსებული კანონზომიერების გათვალისწინება: ი, როგორც თანხმოვანთგამყარი, უნდა გამოიყოს მხოლოდ იქ, სადაც არაკანონიკური თანხმოვანთკომპლექსების გაჩენის ალბათობაა, ანუ მოთხრობითსა და მიცემითში (გიგბერია 1958; დანელია 1986). მხოლოდ ორ ბრუნვაში ი-ს გამოყოფის სისწორეს ადასტურებს თანხმოვანთფუძიან სახელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმა (შდრ.: კოჩ-ო „კაცად“) და მრავლობითი რიცხვის ფორმა (შდრ.: კოჩ-ეფ-ი „კაც-ებ-ი“)(ბერგი „თოხი“ არსებითი სახელის მაგალითზე დაწვრილებით მსჯელობა იხ. დანელია 1986:109-110).

**განმარტება:** მეგრულში ფუძის დაბოლოების მიხედვით განსხვავებულია ვითარებითი ბრუნვის ნიშანი: ხმოვანფუძიანები -თ-ს დაირთავენ, თანხმოვანფუძიანები - -ო-ს; ამიტომ არის თანხმოვანფუძიან სახელებში ვითარებითი ერთი-ერთი საკონტროლო საშუალება.

**კოჩი „კაცი“ არსებითი სახელის პარადიგმა  
ორივე არეალის მიხედვით**

ბრუნვები	აღმოსავლური არეალი	დასავლური არეალი	თარგმანი
სახელობითი	კოჩ-ი	კოჩ-ი	„კაცი“
მოთხრობითი	კოჩ-ქ	კოჩ-ი-ქ	„კაცმა“
მიცემითი	*კოჩ-ს → კო-ს	კოჩ-ი-ს	„კაცს“
ნათესაობითი	კოჩ-იმ	კოჩ-იმ	„კაცის“
მიმართულებითი	კოჩ-იშა	კოჩ-იშა	„კაცისკენ“
დაშორებითი	კოჩ-იშე	კოჩ-იშე	„კაცისგან“
დანიშნულებითი	კოჩ-იშოთ	კოჩ-იშოთ	„კაცისთვის“
მოქმედებითი	კოჩ-ით	კოჩ-ით	„კაცით“
ვითარებითი	კოჩ-ო	კოჩ-ო	„კაცად“

ლაზური არაკანონიკურობის დასაძლევად მხოლოდ ი ჩანართს იყენებს, ანუ, როგორც აღნიშნულია, „უნიფორმაცია თუ პარადიგმული გასწორების გამოვლინება“ (დანელია 1986:109) ბოლომდეა განხორციელებული; ამიტომ ლაზურში რა წესით მოხდება არსებითი სახელის მორფოლოგიური სეგმენტაცია, მხოლოდ შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს; თუმცა, ამ შემთხვევაში, ერთგვარობისთვის, უმჯობესია მეგრული მასალისთვის გამოყენებული პრინციპებით ვიხელმძღვანელოთ.

**შენიშვნა 2:** *Obligatory (OBL)* „სავალდებულო“ სამუშაო ტერმინად არის გამოყენებული თანხმოვანთგამყარი ი-ს გლოსასთვის (ლომია, გერსამია 2012:39); კონსონანტებს შორის ჩართული ი შემაპირობებელი ფაქტორითა და ფუნქციით ანაპტიქსურია, ამიტომ ამ ტერმინის გამოყენება შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს (განმარტება იხ. იქვე:17).

**2.2.3. სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ტრანსფორმაცია**

მეგრულში საინტერესო ენობრივი მოვლენაა სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ტრანსფორმაცია; აღნიშნულ კომბინირებულ პროცესში მოიზარება -დ- ან -თ- თანხმოვნებზე დაბოლოებული სახელები მიმართულებით და დაშორებით ბრუნვებში:

სიმინდ-იშა → \*სიმინდ-შა → \*სიმინთ-შა → სიმინჩა „სიმინდის ყანისკენ /ყანაში“  
 სიმინდ-იშე → \*სიმინდ-შე → \*სიმინთ-შე → სიმინჩე „სიმინდის ყანიდან“  
 (ი დაიკარგა, დშ → თშ (ასიმილაცია) → ჩ (ბგერათმეწყმა).

**განმარტება:** ლექსემა „სიმინდი“ აღნიშნავს როგორც ტაროს, ასევე სიმინდის ყანას.

ზემოაღნიშნულ პროცესში ე ფუძიან სახელთაგან ერთადერთი სახელი მონაწილეობს, ეს არის ცუდე „სახლი“:

ცუდე-შა → \*ცუდ-შა → \*ცუთ-შა → ცუჩა „სახლისკენ“/„სახლში“.

ცუდე-შე → \*ცუდ-შე → \*ცუთ-შე → ცუჩე „სახლიდან“

ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული ლექსიკური ერთეულები ანოტირების დროს დაუშლელია.

#### 2.2.4. -ს > -ც და სახელურ ფორმათა სეგმენტაციის საკითხი

ყველა ქართველური ენისთვის მიცემითი ბრუნვის ძირითადი ნიშანი არის -ს. მეგრულში -ს ნიშნის ალომორფად განიხილება -ც: -ს > -ც (Цагарели 1880:57; Кипшидзе 1914:024; დანელია 2006:108 და სხვ.). იგი ძირითადად დამახასიათებელია ზუგდიდურ-სამურზაყანული, იგივე დასავლური არეალის მეტყველებისთვის), იშვიათად – ცენტრალურისთვის; დასტურდება თანხმოვანფუძიანებთან: ჯინ-ც „ძირს“, წყარ-ც „წყალს“, ცხენ-ც „ცხენ-ს“ და მისთ. საყურადღებოა, რომ დასავლურ არეალში -ც მიცემითის ნიშნად გვხვდება იმ ფუძეგამარტივებულ, ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებთან, რომლებიც აღმოსავლურისთვის არის დამახასიათებელი: კო-ც „კაცს“, ღე-ც „ღორს“, პი-ც „პირს“ და სხვ. (ეს სახელები ხმოვანფუძიანები არიან სწორედ ფუძისეული თანხმოვნის დაკარგვის (ანუ გამარტივების) ხარჯზე).

სამეცნიერო ლიტერატურაში -ც ალომორფის მიღების ორი გზა სახელდება: სუბსტიტუცია და აფრიკატიზაცია; სუბსტიტუცია თანხმოვანფუძიანებთან არის სავარაუდებელი, ხოლო აფრიკატიზაცია ხმულებზე (დ, თ, ტ, ჯ, ჩ) დაბოლოებულ სახელებთან: \*კოჩს → კო-ც, \*ღეჯს → ღე-ც, \*პიჯს → პი-ც და სხვ. როგორც ჩანს, ხმულები რედუცირდნენ -ს სუფიქსის აფრიკატიზაციის შემდეგ; სხვანაირად -ც მიცემით ბრუნვაში ხმოვანფუძიანებთან ვერ გაჩნდებოდა.

მიცემით ბრუნვაში ფორმათა სეგმენტაციისას დასაშვებად მიგვაჩნია -ს და -ც სუფიქსების, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის ნიშნების, გამოყოფა (სეგმენტაციასთან დაკავშირებით იხ. ლომია, გერსამია 2012:37).

#### ს ვ ა ნ უ რ შ ი

სახელის ფუძის განსაზღვრასთან დაკავშირებით სავალდებულოა იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ამ ენაში არსებობს როგორც ორფუძიანი ბრუნების ტიპი, ასევე ორმაგი ბრუნება; ორფუძიანობა ძირითადად ემყარება მიცემით ბრუნვას, რომელსაც ხუთი სხვადასხვა ნიშანი აქვს ფუძის შედგენილობისა თუ დიალექტური მონაცემების გათვალისწინებით; აღსანიშნავია, რომ სვანურ ბრუნვათა პარადიგმაში მიცემითის შემდეგ დგას მოთხრობითი, რადგან მისთვისაც მიცემითი ბრუნვაა საყრდენი; მაგალითად:

- სახელობითი: ბაჩ „ქვა“
- მიცემითი: ბაჩ-ჟ „ქვას“
- მოთხრობითი: ბაჩ-ემ „ქვამ“
- ნათესაობითი: ბაჩ-ემ-[იშ] „ქვის“
- მოქმედებითი: ბაჩ-შჟ „ქვით“
- ვითარებითი: ბაჩ-დ „ქვად“

შესაბამისად, ამ სახელის სახელობითა და მიცემითში გამოიყოფა ბაჩ, და-ნარჩენი ბრუნვებისთვის კი ფუძე იქნება ბაჩუ, შესაძლებელია, უ პლუსით მიუერთდეს ამოსავალ ძირს; მაგალითად, ბაჩ+უ-ემ „ქვა-მ“.

**განმარტება:** პლუსით შეერთებულ სეგმენტს ცალკე გლოსა არ ენიჭება.

რაც შეეხება ორმაგ ბრუნვებს, ძირითადად ნანათესაობითარი, ზოგჯერ კი – ნაერგატივალ ფორმებია და ნიშნავს ორი (ან მეტი) დიალექტურად ან გენეზისით განსხვავებული ბრუნვის ნიშნის დართვას, როცა პირველი მორფემის ფუნქცია ფაქტობრივად დაჩრდილულია; „ფორმალურად ერთ რომელიმე ლექსიკურ ერთეულში ჩვენ შეიძლება გვეჩვენოს რამდენიმე (ორი ან მეტი) ბრუნვის ნიშანი, მაგრამ ეს ერთეული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ორფუძიანი ბრუნების სისტემის წარმომადგენლად, თუ მას უკანასკნელი სეგმენტის შესაბამისი მნიშვნელობა აქვს“ (ჩანტლაძე 1998:120); მაგალითად, მწრემიშ < მწრე-ემ+იშ „კაცის“ (ნაერგატივალ ნათესაობითი) ლექსემის ფუძე იქნება მწრე, -ემ+იშ კი – ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ჟელმიშ < \*ჟელ-ემ-იშ „ძალის“ მნიშვნელობით იგივეა, რაც ჟელ-იშ, ანუ -ემ ბრუნვის ნიშანი სრულებით დაჩრდილულია, მაგრამ, ცხადია, სრულიად სხვადასხვაა ჟალუ-დ „ძალ-ად“ და ჟალუ-ემიშ-დ „ძალ-ის-ად/ძალ-ის-თვის“ და სხვ.

### 3. სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება

მეგრულსა და ლაზურში სახელთა მრავლობითს ერთი სუფიქსი აწარმოებს: -ეფ-, რომელიც ამავე მნიშვნელობის ქართული -ებ- სუფიქსის ფარდია. მეგრულში -ეფ- სუფიქსს არეალების მიხედვით ორი პარალელური ფორმანტი აქვს მოთხრობითსა და მიცემითში, -ენ- და -ემ- სუფიქსების სახით.

#### 3.1. ფონეტიკური ჩანართის საკითხი მრავლობითის ფორმებთან

მეგრულში ცალკეულ სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებას ახლავს ერთი თავისებურება: ინტერვოკალურ პოზიციაში მრავლობითი რიცხვის ფორმანტის წინ ჩნდება ლ სონანტი; ამგვარი 24 სახელი აქვს ჩამოთვლილი ი. ყიფშიძეს (იხ. 1-24)(Кипшидзе 1914:026-027); ოთხიგ მოგვიანებით დაემატა(იხ. 25-28)(კარტოზია და სხვები 2010: 106).

ლაზურშიც „ა-ფუძიანი სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებთან დაჩნდება ლ ბგერა: დალეფე „დები“, ჯალეფე „ხეები“, ოხორჯალეფე „ქალები“ (ჩიქობავა 1936:62; კარტოზია 2005:85).

#### ლ თანხმოვნის სახელთა სრული სია

##### მეგრულში

1. ბჟა „ბზე“ – ბჟა-ლ-ეფ-ი	15. ღვა „ლოყა“ – ღვა-ლ-ეფ-ი
2. და „და“ – და-ლ-ეფ-ი	16. ჩხოუ „ძროხა“ – ჩხოუ-ლ-ეფ-ი
3. დღა „დღე“ – დღა-ლ-ეფ-ი	17. ჟა „ტოტი“ – ჟა-ლ-ეფ-ი
4. დიდა „დედა“ – დიდა-ლ-ეფ-ი	18. ჟა „ჩალა“ – ჟა-ლ-ეფ-ი
5. ზა „გზა“ – ზა-ლ-ეფ-ი	19. ჟა „ხე“ – ჟა-ლ-ეფ-ი
6. თუ „გოჭი“ – თუ-ლ-ეფ-ი	20. ჟიმა „ძმა“ – ჟიმა-ლ-ეფ-ი

7. მოთა „შვილიშვილი“- მოთა-ლ-ევ-ი	21. ძგა „ნაპირი“, კიდე“- ძგა-ლ-ევ-ი
8. მუმა „მამა“- მუმა-ლ-ევ-ი	22. (ფ)სუა „ფრთა“- (ფ)სუა-ლ-ევ-ი
9. ნოსა „რძალი“- ნოსა-ლ-ევ-ი	23. ხე „ხელი“- ხე-ლ-ევ-ი
10. სინჯა „სიძე“- სინჯა-ლ-ევ-ი	24. პაპა „მღვდელი“- პაპა-ლ-ევ-ი
11. სქუა „შვილი“- სქუა-ლ-ევ-ი	25. ფსკა „სკა“- ფსკა-ლ-ევ-ი
12. ტყა „ტყე“- ტყა-ლ-ევ-ი	26. ტკვა „კიბე“- ტკვა-ლ-ევ-ი
13. ქა „რქა“- ქა-ლ-ევ-ი	27. შქა „შუა“- შქა-ლ-ევ-ი
14. ქუა „ქვა“- ქუა-ლ-ევ-ი	28. ჭიჭე „პატარა“- ჭიჭე-ლ-ევ-ი

**შენიშვნა 3:** შქა „შუა“ ზმნიზედური წარმოშობისაა, ჭიჭე „პატარა“ ატრიბუტივია; ორივე მრავლობითი რიცხვის ფორმას აწარმოებს მაშინ, როცა გასუბსტანტივებულია.

**შენიშვნა 4:** გასუბსტანტივებული ატრიბუტივების ხარჯზე ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს: მეგრ. გინძე „გრძელი“- გინძე-ლ-ევ-ი; ჭიფე „წვრილი“- ჭიფე-ლ-ევ-ი, შდრ.: ლაზ. გუნძე „გრძელი“- გუნძე-ლ-ევ-ი; მჭიფე „წვრილი“- მჭიფე-ლ-ევ-ი (მაგალითები დამოწმებულია: გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:88).

ზემოაღნიშნულ სახელებში **ლ** თანხმოვანი ან ფუძის კუთვნილებად განიხილება (Mapp 1910:14; ონიანი 1989:224), ან მრავლობითის ფორმანტთან ერთად გამოიყოფა (კარტოზია 2005:86-87). მართალია, **ლ** თანხმოვანს სინქრონიულ დონეზე მორფოლოგიური ღირებულება არა აქვს, სახელურ ფუძეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში გაჩენილია გვიან, ფონეტიკურ ნიადაგზე, მაგრამ იგი მაინც ცალკე უნდა გამოიყოს. რაც შეეხება კვალიფიკაციას, **ლ** თანხმოვანი **ფონეტიკური ჩანართია**; კერძოდ, ფუნქციური მახასიათებლის მიხედვით იგი აე, ეე, უე მიმდევრობებს შორის ჰიატუსის დასაძლევად გამოიყენება და მისი დასახელებაა **ეპენტეზა** (Epenthesis-EP; ძვ. ბერძნული: Επέθεσις)(**ლ** თანხმოვნის გამოყოფის თეორიული საფუძვლების შესახებ იხ. კარტოზია და სხვები 2010:106-109, ხოლო გლოსირების პრინციპების შესახებ იხ. ლომია, გერსამია 2012:17, 39).

ზემოაღნიშნული სახელური ფუძეები როცა სიტყვაწარმოებაში გამოიყენება, **ლ** თანხმოვანი ასევე **ფონეტიკურ ჩანართად** გვევლინება ხმოვნით დაწყებული სადერივიციო აფიქსების წინ: ქა „რქა“- ქა-ლ-ამ-ი „რქიანი“; სქუა „შვილი“- სქუა-ლ-ობა „შვილობა“; ჯიმა „ძმა“- ჯიმა-ლ-ობა „ძმობა“ და სხვ. (იხ. კარტოზია და სხვები 2010:109).

ცნობილია, რომ დერივაციული (წარმოქმნილი) ფუძე ახალი სემანტიკური მნიშვნელობისაა და ორკომპონენტიანია (ძირი + დერივაციული მორფემა). მორფოლოგიური ანოტირების დროს რელევანტურია ახალი მნიშვნელობის ფუძე; შესაბამისად, წარმოქმნილ სახელებში **ლ ჩანართი** ფუძეში შედის და მისი ცალკე გამოყოფის საკითხი არ დგას; თუმცა, ეს საჭიროება დადგება მაშინ, თუ კორპუსული ძიება შეეხება წარმოქმნილ სახელთა ძირებს.

მეგრულსა და ლაზურში დადასტურებული ლ ფონეტიკური ჩანართის ფუნქციისაა ქართულში ვ თანხმოვანი, რომელიც ერთმარცვლიანი, ხმოვანზე დაბოლოებული ძირისაგან წარმოქმნილ ხელობის სახელებში დასტურდება; მაგალითად, მე-ეზო-ვ-ე, მე-რძე-ვ-ე, მე-ტყე-ვ-ე და სხვ.

#### 4. შტო-გვარის წარმოება სვანურში

ქართველურ ენებში შტო-გვარის სახელები ძირითადად მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მრავალფეროვანი და საინტერესოა სვანური ენის ემპირიული მასალა.

შტო-გვარის აღმნიშვნელი დაბოლოება სვანურში რამდენიმეა:

- -შა: აბრამ-შა „აბრამაანი“/„აბრამისანი“,
- -წრ (-ებ, მრ. რიცხვის ნიშანი): აბრამ-წრ - „აბრამაანი“.
- -შე/ერ: აბრამ-შე/ერ „აბრამაანი“.
- კომბინირებული სუფიქსი -შერ-წრ: „აბრამაანი“ ერთობლივად (შდრ. ჯალაბი და ჯალაბობა, მწვანილეული და მწვანილეულობა...).

სინქრონიულ დონეზე, ალბათ, მაწარმოებელი თითოეული ერთიანი ფორმით უნდა გადმოიცეს, თუმცა დიაქრონიის დონეზე მათ შესახებ არაერთი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული: „-შა, -იშა, -იშე, -იში დაბოლოებებში ე, ა, ი ემფატიკურები უნდა იყვნენ, ყოველ შემთხვევაში, ბრუნვის გამოხატვა მათ არ ევალებათ“ (თოფურია 1944:344); „სვანურ შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელწოდებათა საწარმოებლად ძირითადად გამოყენებულია მრავლობითი რიცხვისა და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები. -შა - ნათესაობითის ფორმანტია დერივაციულ როლში“ (ჩანტლაძე 1998:132).

ჩვენი აზრით, რადგან ყველა ჩამოთვლილი ფორმანტი, მიუხედავად მათი გენეზისისა, ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთმნიშვნელოვნად შტო-გვარის აღმნიშვნელია, ანოტირებისას ისინი ერთ ელემენტად უნდა გამოიყოს; მხოლოდ -შერ-წრ კომბინირებული სუფიქსის ჩანაწერი შესაძლოა იყოს სამსჯელო, რადგან აუსლაუტში მრავლობითობის ნიშანს საანალიზო ლექსემებში შემოაქვს სიმრავლის გარკვეული ნიუანსი.

#### 5. -ხე სუფიქსის რაობა და სემანტიკა მეგრულში

მეგრულში ყურადღებას იქცევს სუფიქსი -ხე, რომელიც მხოლოდ ქალის მამისეულ გვარს დაერთვის და მასში „ასულის“ მნიშვნელობა შეაქვს. ამ ენობრივი ფაქტით მეგრული სხვა ქართველური ენებისგან განსხვავდება. აღნიშნულ მოვლენას თავის დროზე არნოდ ჩიქობავამ მიაქცია ყურადღება; მეცნიერს სუფიქსი -ხე ფხე-საგან მომდინარედ (-ხე < ფხე) მიაჩნდა, თავად „ფხე“-ს კი, გარკვეული ფონეტიკური გარდაქმნების გათვალისწინებით, აკავშირებდა ქართულში დადასტურებულ მწვე-

ალ- ფორმის პირველ ნაწილთან (ჩიქობავა 1942:26). ქეთევან ლომთათიძემ გაიზიარა არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი -*ხე* სუფიქსის *ფხე*, *მკვე*-ალ- ფორმებთან დაკავშირების შესახებ; თავის მხრივ, გააღრმავა მსჯელობა და დააზუსტა ცალკეული დეტალები; კერძოდ, ქ. ლომთათიძის აზრით, ქართული გვარის სახელებში ქალიშვილისა და ვაჟიშვილის დიფერენცირებულად წარმოდგენის საჭიროება არ იდგა, განსხვავებით აფხაზურისაგან; ამიტომაც, ამ მიზნით ისეცხა აფხაზურმა ქართული *მკვე*-ალ- ფუძე, ხოლო შემდგომ „აფხაზურისთვის დამახასიათებელი სემანტიკური ფუნქციით დაუბრუნდა ქართულის დასავლურ კილოებს“ (ლომთათიძე 2000:72-74). ქ. ლომთათიძე დასავლურ ქართულ ენობრივ არეალში მეგრულთან ერთად გულისხმობს ქართული ენის დასავლურ დიალექტებს: ქვემო იმერულს, გურულს, აჭარულს, რომელთა მონაცემებში ასევე დასტურდება -*ხე* სუფიქსი ზემოაღნიშნული სემანტიკით (მსჯელობა -*ხე* სუფიქსთან დაკავშირებით წარმოდგენილია მ. ლომიას ნაშრომის მიხედვით: ლომია 2019-2020:217-218).

-*ხე* სუფიქსი, როგორც მსჯელობიდან ჩანს, ქართველურ ანთროპონიმიაში გენდერული დანიშნულების მარკერია; აღნიშნული მარკერის სახელდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი სემანტიკური დატვირთვა და ფუნქციურ-პრაგმატიკული დანიშნულება.

## დასკვნები

ქართველურ ენათა სახელებში ლინგვისტური ანოტაციის პრობლემები გაანალიზებულია ბრუნვისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.

ოთხივე ქართველურ ენაში განხილულია თანდებულიან სახელთა სეგმენტაციისა და კვალიფიკაციის საკითხი.

მეგრულსა და ლაზურში, განსაკუთრებით მეგრულში, სახელის ფუძის განსაზღვრა-გამოყოფის სპეციფიკა თავისებურებებით ხასიათდება:

ა. ე.წ. ნანათესაობითარ (მეორეულ) ბრუნვებში;

ბ. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებთან ფონეტიკური ჩანართის (თანხმოვანთგამყარისა და ხმოვანთგამყარის) გაჩენის შედეგად;

გ. ფუძისა და ბრუნვის ნიშნის ფონეტიკური ტრანსფორმაციის გამო;

დ. ცალკეულ ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური წესით ცვლილების გამო.

მეგრულ ანთროპონიმებში (ქალის მამისეულ გვარში) რეგულარულად ჩნდება გენდერული დანიშნულების -*ხე* სუფიქსი.

სვანურში ტრადიციულად მიჩნეულია, რომ სახელი უფრო რთულია, ვიდრე ზმნა; ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ენაში ბრუნების ორ-/სამფუძიანობა და ორმაგი ბრუნების პარადიგმათა არსებობა. ემპირიული მასალა მრავალფეროვანია დიალექტური მონაცემების გათვალისწინებითაც. ქართველურ ენათაგან მხოლოდ სვანურისთვის არის დამახასიათებელი ე. წ. „წინდებულ-თანდებულიანი“ ბრუნვები, რომელთა ფორმები სემანტიკური ნიუანსების გადმოცემით მთის დიალექტებში გამოყოფილ ორმაგ ლოკალური ბრუნვებს უახლოვდება. სვანურში

მრავალფეროვანია აგრეთვე შტო-გვარის გამომხატველი ლექსიკურ-გრამატიკული მოდელები.

სახელური ლექსემების ანოტირებისას (სეგმენტაცია-მარკირებისას) ფორმალურ მონაცემებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს შინაარსობრივი მახასიათებლებიც; ამასთან, სახელთა ფორმალური მექანიზმის აღწერა-კვალიფიკაცია სრული და ზუსტია, თუკი მასში ასახულია ფორმათა ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგები.

ანოტირება, მათ შორის მორფოლოგიური ანოტირება, კონვენციურია (მიიღწევა შეთანხმების საფუძველზე), თუმცა საყრდენი თეორიული ბაზა უნდა იყოს თანმიმდევრული, განსაკუთრებით განსახვავებული თვალსაზრისების პირობებში.

### ლიტერატურა:

1. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. (1965). სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.
2. გიგბერია ე. (1958). გალის რაიონის მეგრული, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი.
3. გიგინეიშვილი ბ., სარჯველაძე ზ. (1978). ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, მრავალთავი, IV, თბილისი.
4. დათუკიშვილი ქ. (2008). სახელთა მორფოლოგიური ანოტირების საკითხები ქართული ენის კორპუსისათვის: სამეცნიერო კონფერენცია „ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და ბუნებრივი ტექნოლოგიები“, 2008-VI. მოხსენებათა თეზისები. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი: [www.ice.ge](http://www.ice.ge)
5. დანელია ვ. (2006). კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
6. დანელია ვ. (1986). სახელობითი ბრუნვის ი ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 267 (ენათმეცნიერება), თბილისი.
7. თანდაშვილი მ., ყამარაული მ. (2021). შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში, გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი.
8. თანდაშვილი მ. (2019-2020). აკაკი შანიძის კვლევითი კონცეპტიდან დიგიტალურ ქართველოლოგიამდე, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VI-VII, გვ. 53-75. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
9. თვალთვაძე დ. (2019-2010). აკაკი შანიძე ციფრულ ეპოქაში (პროექტი „აკაკი შანიძის ციფრული ბიბლიოთეკა და ტექსტკორპუსი“), სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VI-VII, გვ. 75-84. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
10. თოფურია ვ. (2002). შრომები, ტ. II, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.
11. თოფურია ვ. (1944). ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენებთან მიმართებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 5, #3, თბილისი.
12. თოფურია ვ. (1937). ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში, ენიმკის მოამბე, I, ტფილისი.
13. კარტოზია და სხვები: კარტოზია გ., გერსამია რ., ლომია მ., ცხადაია თ. (2010). მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.



14. კარტოზია გ. (2005). ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი.
15. კარტოზია გ. (1961). ერთი თანდებულის გენეზისისათვის მეგრულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი.
16. ლომთათიძე ქ. (2000). მკველ-იდან [ფ]ხე-მდე (აფხაზურ-ადიღურ ენათა სათანადო ფუძეებთან გათვალისწინებით), XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ზუგდიდი, 20-21 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, გვ. 72-74, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.
17. ლომთაძე ა. (1987). ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბილისი.
18. ლომია მ. (2019-2020). მეგრული გაშიარების ტექსტის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VI-VII, გვ. 215-223. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
19. ლომია მ., გერსამია რ. 2012. ხაზთაშორის მორფემული გლოსირება, ნაწილი 1, ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
20. ონიანი ა. (1989). ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი.
21. ქირია და სხვები: ქირია ჭ., ეზუგბაია ლ., მემიშიძე ო., ჩუხუა მ. (2015). ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.
22. შანიძე ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
23. ჩანტლაძე ი. (1998). ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.
24. ჩიქობავა არნ. (1942). სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXIII, თბილისი.
25. ჩიქობავა არნ. (1936). ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.
26. ჯიქია მ. (2014). რეცენზია ნაშრომზე „ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი). ნაწილი I, 2012 (ავტორები: მ. ლომია, რ. გერსამია, გვ. 315-316, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი).
27. ჯორბენაძე ბ. (1995). ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
28. Lehmann, Christian, Directions for interlinear morphemic translations, *Folia Linguistica* 16, 1982, 199-224.
29. Lehmann, Christian, Interlinear morphemic glossing:  
[www.folialinguistica.com/inter-linear-morphemic-glossing.pdf](http://www.folialinguistica.com/inter-linear-morphemic-glossing.pdf)  
[http://www.unierfurt.de/sprachwissenschaft.personal/ehmann/CL\\_Publ.IMG.PDF](http://www.unierfurt.de/sprachwissenschaft.personal/ehmann/CL_Publ.IMG.PDF)
30. The Leipzig Glossing Rules (LGR): Conventions for interlinear morphemic-morpheme glosses:  
<http://www.eva.mpg.de/lingua/resources/glossing-rules.php>.
31. Кипшидзе И. (1914). Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словорем, СПб.
32. Мapp Н. (1910). Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словорем, СПб.
33. Цагарели А. (1880). Мингрельские этюды, II (опыт фонетыки), СПб.

**განმარტება წყაროებთან დაკავშირებით:** დამოწმებული მაგალითები შედგენილია ავტორების მიერ.

## Linguistic Annotation of Kartvelian Languages: I. Nominal Parts of Speech (Problems and Solutions)

Maia Lomia, Ketevan Margiani (Tbilisi)

The international standards of morphemic analysis of texts have outlined completely new prospects of research for the languages with rich morphological structure because typological linguistics systematizes and classifies language facts and phenomena based on the structural content and the number of structural markers. The unity of these markers is relevant for the definition of the essence of language as such, the very phenomenon of language. Morphologically, of great interest with regard to any language are **the noun** and **the verb**, because they are structural units of ample syntagmatic data. This proves the importance of the outcomes of morphemic analysis, as well as the vast grammatical capacity of these parts of speech. Kartvelian languages embrace the empirical material of four languages (Georgian, Megrelian, Laz and Svan) with diverse and multifunctional morphemic data. Their systemic research is urgent, important and vital for the definition of the typology of Kartvelian languages as well as for the general typological research. Modern challenges have created the need for the new, reliable and knowledge-based research product that will meet contemporary international standards.

Linguistic morphological analysis is carried out based on the **synchronic data**. Due to the morphological changes peculiar of nominal stems, we should take into account the diachronic-etymological factors in order to identify the original forms and meanings of words. The problems of linguistic annotation of the nominal parts of speech in Kartvelian languages are analyzed based on the grammatical categories of case and number:

The issues of segmentation and qualification of the nominal parts of speech with postpositions are discussed with reference to all the four **Kartvelian languages**.

**In Megrelian and Laz**, especially in **Megrelian**, the definition-identification of the nominal stem is specific with regard to the following:

- a. *The former genitive cases (secondary cases).*
- b. *Due to the phonetic insertion in the singular and plural forms (the insertion that separates consonants or vowels).*
- c. *Due to the phonetic transformation of the stem and the case-marker.*
- d. *Due to the changes in some case-markers caused by phonetic rules.*

**In Megrelian anthroponyms** (maiden names) a gender suffix **-ბჟ/xe/** is usually found.

It is traditionally considered that **Svan** nouns are more complex than Svan verbs. This opinion is based on the existence of two/three stems in the Svan declension system and the existence of double declension paradigm. The empirical material is diverse, taking into account the dialectal data as well. Out of Kartvelian languages, only Svan has the so-called “prepositional-postpositional“ cases. Such forms express semantic nuances, and, in this, they are close to double local cases found in the highland dialects of the Svan language. The lexical-grammatical patterns denoting names of clans-families are also extremely diverse in the Svan language.

In the process of annotation (segmentation-marking) of the nominal lexemes, alongside with formal data, we should take into account the semantic peculiarities. Besides, description-qualification of the formal mechanisms of nominal parts of speech will be complete and accurate only if it reflects the outcomes of the phonetic transformation of forms.

Annotation, including morphological annotation, is conventional (achieved on the basis of agreement). However, the theoretical foundation should be consistent, especially in condition of diverse opinions.